გილოცავთ ახალ წელს!

F 343
1996

ნოემბერ - დეკემბერი 1996 წელი

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:

ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

Barbie

მილიონობით გოგონას - საუკეთესო თოჯინა
„ბარბის" განუმეორებელი სამყარო

მაღაზია „ბარბი",
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 19

...და სხვა უამრავი ზღაპრული სათამაშო.

ქართული საბავშვო პოეზიის მცირე ანთოლოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ორბელიანი

* * *

თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდებეს ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, თუში - ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით ქართველი,
ვით ლიხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხმარდი, მთიული?
ბრძოლაში შეუჰოვარი!

მესხი სწავლითა ქებული,
გმირი იმერი - ზრდილობით
და მშვილდოსნობით აფხაზი,
გურული, მეგრი მკვირცხლობით...

გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება!

თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მისწვდება!

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი - გულადი, ჰურადი,
მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მდერალი,
მოყვარე თავის მიწისა!..

მხატვარი ვაჟა ქურხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ჩარკვიანი

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

საუბარი ლოცვის შესახებ

F-6293

თუ ადამიანებს დააკვირდებით, მიხვდებით, რომ მარტო ყოფნა, მარტო ცხოვრება არავის მოსწონს. თუ რამე შეგვემთხვა, მშობლებს, მეგობრებს ვუყვებით ხოლმე, თუ რაღაც გვჭირდება და ჩვენით ვერ ვაკეთებთ, ისევ მათ ვთხოვთ დახმარებას, თუ რამემ გაგვახარა ანდა დაგვამწუხრა, ვცდილობთ ჩვენი ახლობლების გვერდით ვიყოთ, რადგან მათთან თავს კარგად ვგრძნობთ. უფროსები ამის შესახებ ასე იტყოდნენ: ჩვენ გვსურს ერთმანეთს გავუზიაროთ საკუთარი გრძნობები. ასე ერთად ცხოვრებას ურთიერთობას ვუწოდებთ.

თქვენ აუცილებლად შეამჩნევდით, რომ როცა ადამიანები ზრუნავენ ჩვენზე, ეს ძალიან მოგვწონს. თუ ვინმემ რაღაც გვაჩუქა, ესეც გვსიამოვნებს და მადლობას ვიხდით, ან უფროსების ენით რომ ვთქვათ, მადლიერები ვართ.

ხშირად, ასეც ხდება - ადამიანებს უნდათ ერთმანეთს დაეხმარონ, მაგრამ არ შეუძლიათ, რადგან ისინი ყოვლისშემძლენი არ არიან. ყოვლისშემძლე არსება არის მხოლოდ ღმერთი. ყოვლისშემძლე ღმერთთან ურთიერთობა ადამიანისთვის ისევე შესაძლებელია და თან აუცილებელიც, როგორც საკუთარ ახლობლებთან. ქრისტიანს ვერც კი წარმოუდგენია ცხოვრება ქრისტეს გარეშე, რადგან სწორედ იესო ქრისტე არის მისთვის ყველაზე დიდი ახლობელი.

სამწუხაროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ იცნობენ იესო ქრისტეს. ვინც იცნობს ღმერთს, ის ცდილობს მთელი სიცოცხლე მასთან ერთად იცხოვროს, ყველა საქმე მისი დახმარებით, ანუ შემწეობით აკეთოს, მას გაუზიაროს გრძნობები და ფიქრები! ასეთ ადამიანს უყვარს ღმერთი და მადლიერია ღვთისა, რადგან ღმერთმა შეგვქმნა გონიერ და თავისუფალ არსებად, ის ყოველთვის ზრუნავს ჩვენზე, გვპატრონობს, ესმის ჩვენი და მარადიულ სიცოცხლეს გვპირდება...

მაგრამ, როგორ შეიძლება ურთიერთობა ღმერთთან, იკითხავთ ალბათ, ჩვენ ხომ მისი დანახვაც კი არ შეგვიძლია! როგორ და, ლოცვის საშუალებით. ლოცვა არის ადამიანის საუბარი ღმერთთან.

რის შესახებ, როგორ შეიძლება ვესაუბროთ ღმერთს?

უპირველეს ყოვლისა, მას სახელით უნდა მივმართოთ, ნიშნად იმისა, რომ ჩვენი ღმერთი არის სწორედ იესო ქრისტე, რომელმაც ადამიანის სახე მიიღო, ანუ განკაცდა და ჩვენი ცოდვების გამო ჯვარს ეცვა, სიკვდილი დაამარცხა, მკვდრეთით აღდგა და სასუფეველი მოგვიპოვა. სასუფეველი არის იქ, სადაც სუფევს, არსებობს უფალი, ღმერთი, ესე იგი, სადაც სუფევს სიყვარული, სიკეთე. სასუფეველი არსებობს ჩვენს გარეთ, მაგრამ თუ ღმერთს ლოცვებში მოვუხმობთ, იგი ჩვენს შორისაც, ე. ი. ჩვენშიც დაიდებს ადგილს, ანუ დამკვიდრდება.

ჩვენი სიყვარული და მადლიერება ღვთის მიმართ ლოცვისას უნდა გამოვხატოთ. ქრისტიანები ხშირად ერთი სიტყვით ამბობენ ამას: დიდება უფალს.

ღმერთს შეიძლება გავუზიაროთ ყველა გრძნობა. ის ყოველთვის გაგვიგებს და დაგვეხმარება. ღმერთს ვუყვარვართ თითოეული ჩვენგანი, ჩვენი თვისებების მიუხედავად, ვუყვარვართ როგორც მშობელს უყვარს საკუთარი შვილები. ამიტომ, შეგვიძლია ნებისმიერ დროს მივმართოთ და ვთხოვოთ, რაც გვჭირდება. „ითხოვდეთ და მოგეცემათო“- გვასწავლის მაცხოვარი სახარებაში. უფალი უკეთესად გვიცნობს, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს. მან ჩვენზე უკეთ იცის, რა უფრო საჭიროა ჩვენთვის, ამიტომ ხშირად იმაზე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტს გვაძლევს, ვიდრე ლოცვაში ვითხოვდით. ზოგმა შეიძლება იკითხოს - თუ ღმერთმა ყველაფერი იცის, ლოცვა რაღა საჭირო ყოფილაო?

ლოცვა ჩვენთვისვე არის აუცილებელი. ჯერ ერთი, ლოცვით ადამიანი ღმერთთან ურთიერთობას სწავლობს, ეჩვევა თავმდაბლობას, ეკლესიური ენით თუ ვიტყვით, ეჩვევა სიმდაბლეს - ის აღიარებს საკუთარ სისუსტეებს და დახმარებას სთხოვს მასზე განუზომლად ძლიერ არსებას, სწორედ ჭეშმარიტი ლოცვის გზით შემოდის ადამიანში მადლი - ღვთაებრივი ძალა, ურომლისოდაც შეუძლებელია სიყვარულის სწავლა, შეუძლებელია კეთილი საქმის კეთება, შეუძლებელია ქრისტიანული ცხოვრება საერთოდ!

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ იესო ქრისტეს შეუძლია ის, რასაც ვერც ერთი ადამიანი ვერ შესძლებს, ესაა ცოდვების მიტევება. ცოდვა ისევე აჩნდება ჩვენს სულს, როგორც ახალ, თეთრ, სადღესასწაულო ტანსაცმელს ჭუჭყის ლაქები. ამიტომ უნდა ვეცადოთ მოვერიდოთ ცოდვას და ღმერთს ვთხოვოთ, აგვაცილოს ის.

ამრიგად, ლოცვა არის ისეთი საუბარი ღმერთთან, როდესაც ჩვენ ვადიდებთ მას, მადლობას ვუხდით, ვთხოვთ ცოდვების მიტევებას, ვუზიარებთ ჩვენს განცდებსა და სურვილებს.

როგორც წესი, მორწმუნეები ხატების წინ ლოცულობენ. თქვენ გინახავთ ხატები. ხატებზე შეიძლება გამოსახული იყვნენ უფალი ჩვენი-იესო ქრისტე, დედა ღვთისმშობელი, ან წმინდანები, მაგალითად, წმინდა გიორგი, წმინდა ნინო, წმინდა ნიკოლოზი და სხვები. წმინდანები ისეთი ადამიანები არიან, რომლებმაც ქრისტესადმი განსაკუთრებული სიყვარულით იცხოვრეს და გარდაიცვალნენ, ამიტომ ღმერთისაგან მიიღეს მასთან ერთად მარადიული ცხოვრების ნება-და ასევე წაულქმედების ძალა. მათაც შეუძლიათ ისმინონ ჩვენი თხოვნა და შუამდგომლობა გაგვიწიონ ქრისტეს წინაშე. მართლმადიდებელი ქრისტიანები განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობიან ხატებს, ემთხვევიან ხოლმე მათ. ამით ისინი ნახატს კი არ სცემენ თაყვანს, არამედ იმას, ვინც ამ ხატზეა გამოსახული. მაშ, რისთვისღაა საჭირო ხატი? ადამიანისთვის ძნელია საუბარი არსებასთან, რომელსაც ის ვერ ხედავს, ამიტომ უფალი ხატების საშუალებით, ამ ხილული გამოსახულებების გზით გვიგზავნის თავის ღვთაებრივ ძალას, მადლს.

თუ ისეთ ადგილას მოვხვდით, სადაც ხატები არ მოიძებნება, შეგვიძლია პირდაპირ მივმართოთ უფალს. ის ყველგან არის და ყოველთვის ისმენს ჩვენს ლოცვას.

გარდა მარტოდ ლოცვისა, ქრისტიანები ერთად იკრიბებიან და ერთად ლოცულობენ. ქრისტეს სახელით შეკრებილ მორწმუნეებს ეკლესია ჰქვია. არ გეგონოთ ეკლესია მხოლოდ შენობას - ტაძარს ერქვას. პირველ რიგში ეკლესია არის ღვთის მადლით გაერთიანებული ადამიანები.

ეკლესიად შეკრებილი ქრისტიანები, გარდა საკუთარი თავისათვის ლოცვისა, ლოცულობენ ერთმანეთისათვის, თავიანთი ოჯახის წევრების, ნათესავების და მეგობრებისათვის, ბავშვებისა თუ მოხუცებისათვის, ავადმყოფთათვის, ხელისუფალთა თუ ჯარისკაცთათვის, მღვდელმთავართა და საერთოდ სასულიერო პირთათვის, ლოცულობენ იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ იცნობს იესო ქრისტეს, იმათთვისაც, ვინც უკვე გარდაცვლილია... მორწმუნეები უფლისაგან ითხოვენ, რომ მან შეიწყალოს ადამიანები, ე. ი. გადაარჩინოს ისინი ცოდვისა და სიკვდილისაგან და მარადიული სიცოცხლე მიანიჭოს მათ.

ლოცვას უდიდესი ძალა აქვს!

ლოცვის ძალით არსებობს სამყარო. სამყაროს არსებობას მანამდე ექნება აზრი, სანამ ადამიანს ემახსოვრება მისი შემქმნელი, შემოქმედი იესო ქრისტე, სანამ სურვილი ექნება მასთან ურთიერთობისა, ესე იგი სანამ დედამიწაზე იარსებებს ლოცვა. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული ჩვენგანის ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ მხოლოდ ზოგადად ვისაუბრეთ ლოცვის შესახებ. ნამდვილი ლოცვა უდიდესი საქმეა, ის უნდა ისწავლო და მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობდე მის სრულყოფას. ლოცვის შესახებ უფრო მეტს შეიტყობთ სულიერი მოძღვრისაგან. მაგრამ მხოლოდ საუბარი ამის შესახებ არ არის საკმარისი. უსინათლო ადამიანი ვერასოდეს გაიგებს, რა არის მზის სინათლე, სანამ თვალი არ აეხილება. ასევე ადამიანიც ვერასოდეს გაიგებს რა არის ლოცვა, სანამ თვითონ არ ილოცებს მთელი სულითა და გულით.

თუ თქვენ არასოდეს გილოცია, მაგრამ გაქვთ ამის სურვილი, ისევ უფალს მიმართეთ - უფალო, იესო ქრისტე, მოგვეცი ნიჭი და ძალა ლოცვისა! ამინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

თაგვფოთოლა

არც თაგვია, არც ფოთოლი,
თაგვფოთოლა არის,
შემოდგომის მიწურულში
როცა დაქრის ქარი,
თვალწინ ისე ჩაგიქროლებს,
თაგვიაო, იტყვი,
ამუხრუჭებ, ვაიმეო,
არ გავჭყლიტო ბრიყვი,
მაგრამ, ხედავ, ფოთოლია,
ქარს მიჰყვება ლხენით,
შენ კი მიტომ შეგეშინდა,
მიტომ დაიბეღი,
რომ გუშინწინ, სწორედ ამ დროს,
როცა ქარი ქროდა,
შენ ფოთოლი გეგონა და
თაგვი გადარბოდა.
ამიტომაც დაიხსომე,
თუ ეცვალა მხარი,
შემოდგომის მიწურულში,
როცა დაქრის ქარი,
არც თაგვია, არც ფოთოლი,
თაგვფოთოლა არის.

რატომ

რატომაო, ყველაფერზე
გვეკითხება ქიტო,
რატომა და იმიტომ, რომ,
-ნატომ, კატომ, მიტომ
უპასუხეს მოთმინებით
ქიტოს კითხვებს ვითომ,
მაგრამ მაინც - „რატომაო“,
ეკითხებათ ქიტო.

მხატვარი ლევან ხარანაული

შეზარი მკშრნალი

გიორგი პაპუაშვილი

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

- შვილო, აგრემც თავს შემოგეევლები, ჩემთან დენი არ არის და ეგებ მიშველო რამე! - შეემუდარა ვარო ბებია სინათლის ბოძიდან ახლადჩამოსულ ელექტრომონტიორ გოგიას.

- დენი არ არის, ბებო, და რაღა შენთან იქნება!

- როცა მოდის, შვილო, სხვაგან ინთება და ჩემთან კი - ცუდად. ბოძზე უნდა იყოს გაფუჭებული: ნაპერწკლებს გაჰყრის ხოლმე.

- არ დაგზარდები, ბებო, შევამოწმებ. - გოგიამ კაუჭა ბრჭყალები ცალ ხელში დაიჭირა და ეზოში შევიდა. იქ ხელახლა მოირგო და ბოძზე ავიდა. რაღაც გაასწორა და ამოიოხრა: - ეე, ბებო, შენს ბოძს წირვა აქვს გამოსული.

- ეგ როგორა!

- დამპალა. ჭია გასჩენია! - როცა ბოძიდან ჩამოვიდა და ბრჭყალები მოიხსნა, განუცხადა გოგიამ.

- რა ეშველება?

- გამოცვლის მეტი არაფერი.

- მერედა, გამოცვლას ხომ ფული უნდა!?

- ფული უნდა, მაშა! ორმოცდაათი ლარი არ ეყოფა.

- მაგდენი სადა მაქვს, შვილო, თვეში ცხრა ლარს პენსიას ვიღებ! ან მაგდენისა რა უნდა გამოვრჩე: ღამის ორ საათზე გვინთებენ, როცა გვაღირსებენ, და დილის შვიდ საათზე გვიქრობენ.

- რა ვქნა, ბებო, არც ეგ არის ჩემი ბრალი.

- არ ვიცი, შვილო, ვისი ბრალია, ეგრე კია და... ველარც ტელევიზორს ვიყენებ და ველარც უთოსა. ან ორმოცდაათ ლარს ვინ მომაშავებს მე საცოდავს, პურის ფული სათხოვარი მაქვს. - დაღონებული თვალები გააყოლა ბებიამ ჭიშკარში გამავალ გოგიას, - მაინც როგორი ჭიები ჰყავს შვილო, ეგებ ეშველოს რამე!?

- ადამიანს რომ კიბო გაუჩნდება, უშველიან რამეს! მაგ ბოძსაც კიბო აქვს! - დიაგნოზი დაუსვა გოგიამ და, თუ სადმე იმედის ნაგამალი ჰქონდა ბებიას, მთლიანად გადაუწურა.

- ეე, შვილო, ნეტავი მე გამჩენოდა კიბო მაგ ბოძის მაგივრად. მითხეს, მეცხრე ბლოკი ამუშავდება და ტელევიზორი გვექნებაო, და ეხლა რისი იმედიღა უნდა მქონდეს, გინდაც ამუშავდეს!? თვალგული ამამიღამდა ამდენი ლოდინით. აღარც ბიჭი ჩანს და... ქალაქშიც აღარ მოდისო დენი, მართლა ესეა, შვილო?

- ესეა, ბებო, და მე რა გიშველო!?

ერთ დილას ბებია მონოტონურმა კაკუნმა გააღვიძა. მის მეზობელს სადურგლო ფარდული აქვს, და იფიქრა, ალბათ რაიმეს აკაკუნებსო. თვალი რომ გაახილა, მზე ამოდიოდა. ამდენ ხანს რამ დამაძინაო, გაუწყრა თავის თავს და ბებრულ მოძრაობასთან შედარებით სწრაფად გადაიცვა ტანსაცმელი. ეზოში რომ გავიდა, დაინახა, სინათლის ბოძს ჩიტი მისჯდომოდა და თანაბრად უკაკუნებდა. ჩიტი იყო, მაგრამ ჩოხაახალუხიან ვაჟკაცსა ჰგავდა: წითელ ახალუხზე ნაცრისფერი ჩოხა ემოსა.

ბებიას გამოჩენაზე ჩიტი დაფრთხა და კაკალზე გადაჯდა.

- შენი შეჭმაღა აკლია მაგ ბოძს! აბა, შენ იცი! ყველა ჩემ ჭირად გაჩენილხართ ადამიანიც და ცხოველ-ფრინველიც! - ამოიოხრა ბებიამ.

ბებიამ რომ ქათმებს საკენკი დაუყარა და დაბრუნდა, ჩიტი ისევ ბოძს მისჯდომოდა და დაჟინებით უკაკუნებდა ერთ ადგილზე.

- კოდალა ხომ არ არის? - დაეჭვდა ბებია, - ვაჟაავ! - გასძახა მაზლის შვილიშვილს, - აეს რა ჩიტია, შვილო, ჩვენს ბოძზე რო აკაკუნებს? თვალიც რო აღარ მიჭრის!

ვაჟა ღობეს მოადგა. - კოდალაა, ბებო! ჭია გასჩენია შენს ბოძს!

- ჭია რომ გასჩენია, ვიცი, შვილო, მაგრამ კოდალა თუ იყო, ეგ არ ვიცოდი, აკაკუნოს, არ დავაფრთხობ, ბოძი მაინც გამოსაცვლელია და შეჭამოს, თუ რამე შესაჭმელი აქვს.

მას შემდეგ ყოველდღე აკაკუნებდა კოდალა. მერე სხვა კოდალაც მოიყვანა. ბებიამ ქალად მონათლა: თეთრ პერანგზე მოშავო კაბა აცვიაო. ეტყობა, ცოლ-ქმარი არიან . აქამდე ალბათ ნისკარტით უზიდა მატლები და, რაკი ვერ გამოათავა, აქ დაიპატიჟაო.

რიგრიგობით ურტყამდნენ ნისკარტს დედალ-მამალი კოდალები. ძირს კი ბოძის გარშემო, ათასგვარი ნამუსრევი ცვიოდა. ბებია სათვალით დააკვირდა და რაღაც უცნაური ჭიები ეყარა: ხორბლის მარცვალზე მომცროები და ფეტვის მარცვალზე მომსხოები; ყურძნის წვრილი წიპწის ოდენები იქნებოდნენ. ჩიჩაყვებში რომ აღარ ეტეოდათ კოდალებს, ხოცავდნენ და ძირსა ჰყრიდნენ. მთელ ორ კვირას არ მოშორებიან ბოძს.

- ჩემი კოდალები! ჩემი კოდალები... - ისე უალერსებდათ ბებია, თითქოს ბაქარი და პაატა ყოფილიყვნენ.

ერთ დღესაც აღარ გამოჩნდნენ.

- ვაიმე თუ დახოცა ვინმემ!.. ეს ბოძი მაინც გადასაგდებია და გაუშვი, შეეჭამოთ, თუ რამე შესაჭმელია! - ბუტბუტებდა ბებია, - ეს კოდალები აღარ მოდიან... ხომ არავინ დახოცა!

- ჭკვიანი კაცი კოდალას არ მოკლავს და გიქები ამ უბანში არ მეგულებიან.

- იქნებ სხვა უბანში დახოცეს?

- ეგეც შეიძლება!

- ნახე, შვილო, რამოდენა ბუდეები გაიკეთეს?! ვიფიქრე, აქვე იბარტყებენ-მეთქი და ეხლაღა დაიკარგნენ.

ვაჟა დაინტერესდა. ეზოში შევიდა და ბოძს აჰხედა. ორი ბუდე იყო გამოჭრილი. გამოჭრილი კი არა, თითქოს ბურაოთი დაუბურღიათო. ასეთი რამე არსად ენახა და გაუკვირდა. სახლის კედელთან მიწვენილი კიბე აიღო, ბოძზე მიაყუდა, ზედ ავიდა და ღრმულში შეიხედა. მერე თითით მოსინჯა და:

- მანტიორმა რა გითხრა, ბებო!

- კიბო აქვსო შენს ბოძს. ორმოცდაათი ლარი არ ეყოფა მაგის გამოცვლასო.

- ის კიბო სუ ამოუჭამიათ კოდალებს. სანთელივით ხეღაა დარჩენილი.

- მერმე!

- რა მერმე! ამ ბოძს გამოცვლა აღარ უნდა.

- რას ამბობ, შვილო, მაშ, ორმოცდაათი ლარი მაჩუქეს კოდალებმა!

- ერთი ათ წელიწადს კიდევ გასძლებს ეს ბოძი და დანარჩენი რა გითხრა?!

ბებია ოთხმოცი წლისაა. ათი წლის შემდეგ ოთხმოცდაათი წლისა იქნება და მეტი არც აინტერესებს. სხვაც არა იყოს რა, მისი შვილი სამოცდაათ წელს მიუახლოვდება, შვილიშვილი კი - ორმოცდაათს. აბა რაში უნდა, მათ დაუძლურებას მოესწროს?!

- იქამდე ვიცოცხლო, შვილო, სანამ ეს ბოძი გასძლებს და მეტი არც მინდა!

მას შემდეგ, ბიჭებს როგორც კი დაინახავს შურდულით ხელში, გასძახებს:

- რას დასდევთ, შვილო, კოდალა არ მოკლათ! მაგაზე ძვირფასი ფრინველი არაფერია ქვეყანაზე. მარტო მე ორმოცდაათი ლარი მაჩუქა და რამდენი სხვისთვის უჩუქებია, ეგ არავინ იცის. ხეების ექიმია ეგ დალოცვილი! კიბოს არჩენს, შვილო, კიბოს! უებარი მკურნალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი თარგამაძე

ციდან მოწყდა ვარსკვლავი

ციდან მოწყდა ვარსკვლავი,
წუხელ ვნახე ნამდვილად,
გულდაგულ გადავსინჯეთ
ეზო-ეურე ამ დილას;
ვერც მე ვნახე, ვერც ბებომ,
ვერც ბაბუა თანდილამ.
იქნებ, შენ მაჰოვნინო,
წამო, ვძებნოთ, ნათია,
ისევ ცაში ავაგდოთ
იქ ლამაზად ანთია.

ქენგურუ

ჩემი დეიდა ლიდია
შკვე დედაა, დიდია,
ქენგურობანას თამაშობს
წინ კოხტა ჩანთა ჰკიდია.
ჩაისვამს ხოლმე მინდიას
და სასეირნოდ მიდიან.
მიდიან ღუღუნ-ღიღინით
მზე ამოდის თუ ბინდია,
მინდიას მეტი რა უნდა
დედიკოს გულთან ჰკიდია.
ამხელა ქალის თამაში
ვერაფრით ვერ გამიგია,
მე მათამაშოს ქენგურუ,
მე ვასეირნებ მინდიას.

თუკი მართლა ერთი მზეა

თუ ბურთსა ჰგავს დედამიწა
და მზის ირგვლივ ტრიალებს,
თუ ის ერთი მზე აქვთ ქვეყნის
ყველა ადამიანებს;
თუკი მართლა ქვეყანაზე
ერთი მზეა ნამდვილად,
ის ერთი მზე ჩემს ოთახში,
როგორ გაჩნდა ამ დილას?!

მხატვარი ლალი ლომთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის ეკრანზე

ლაჟვარდისფერ ცის ეკრანზე
მიგორავდა ღრუბლის ბურთი,
მას მისდევდა ღრუბლის ბიჭი,
ღრუბლის კატა, კნუტი - ხუთი.
ექცეოდნენ ბურთს ზემოდან
კნუტი, კნუტი, კატა, კნუტი,
„ბახ“ - ბურთს - ბიჭი, - და ეველანი
ძირს ცვიოდნენ ჰანტა-ჰუნტით.
იქვე, ღრუბლის სავარძელში,
ღრუბლის ბაბუ იჯდა მგონი,
ჩიბუხს ისე აბოლებდა,
ცას სწვდებოდა მისი ბოლი.

უცებ მოსძვრა დედა კატას
ფუშფუშელა კუდი ლეგა,
გაიზმორა კატამ ზანტად,
კუდი ისევ გამოება.
მერე, ცაზე ჩაქრა შუქი
და აინთო ცოტა ხანში,
ბურთი გახდა მუქი ლურჯი,
კატაც, კატის ეველა ბავშვიც.
ჰოდა, ღრუბლის ლურჯი ბურთი
აქეთ-იქით დაგორავდა,
ცის ეკრანზე აღარც კატა,
აღარც ბიჭი აღარ ჩანდა.

ნაკიანი წელიწადი

ვიქტორ ჯაფიაშვილი

ეს ამბავი მოხდა 1996 წლის 29 თებერვალს. მაშინ სალომე მეორე კლასში სწავლობდა. იმ დღეს 8 წელი შეუსრულდა და დაბადების დღეზე მეგობრები ჰყავდა დაპატიჟებული.

ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს – გულითადად მიულოცეს სალომეს დაბადების დღე, იმღერეს, იცეკვეს და ლექსების თქმაშიც გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მერე წამოიშალნენ და შინ წასვლა დააპირეს. ამ დროს სალომემ ხმამაღლა წამოიძახა: ბავშვებო, ბავშვებო! ძალიან გთხოვთ, ცოტა ხანს კიდევ დარჩით, მე ხომ შემდეგი დაბადების დღე მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ მექნება!

ამან ბავშვების ურიამული გამოიწვია. ზოგმა ეს ნათქვამი ხუმრობად ჩათვალა, ზოგმაც იცოდა, რომ სალომე მართალს ამბობდა, მაგრამ იმას კი ვერ მიმხვდარიყო, როგორ შეიძლებოდა ადამიანს მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ ჰქონოდა დაბადების დღე. სალომემ თავის ნათქვამს დაუმატა: პაპაჩემი ასტრონომია, ახლავე მოვიყვან და ყველაფერს აგიხსნითო. შემდეგ გავიდა ოთახიდან და მალე შიო პაპასთან ერთად დაბრუნდა. აი რა უამბო შიო პაპამ ბავშვებს:

წელიწადი დროის იმ შუალედს ჰქვია, რომლის განმავლობაშიც დედამიწა ერთხელ შემოუვლის მზეს გარშემო. იგი შეიცავს 365 დღეს-ღამეს და 6 საათს. და დაყოფილია 12 თვედ. თვეების მიხედვით წელიწადის დღეები ასეა განაწილებული: იანვარში 31 დღე-ღამეა, თებერვალში – 28, მარტში – 31, აპრილში – 30, მაისში – 31, ივნისში – 30, ივლისში – 31, აგვისტოში – 31, სექტემბერში – 30, ოქტომბერში – 31, ნოემბერში – 30 და დეკემბერში – 31. რა მოვუხერხოთ 6 საათს? დავტოვოთ უყურადღებოდ? მაშინ მოხდება დიდი გაუგებრობა. ყოველ ოთხ წელიწადში დაგროვდება აღურიცხველი 24 საათი ანუ ერთი დღე-ღამე. მისი არად ჩაგდება კი გამოიწვევს შეუსაბამობას წელიწადის ნამდვილ ხანგრძლივობასთან. დროთა განმავლობაში ზამთრის თვეები თანდათან გადაინაცვლებს ზაფხულისაკენ და, პირიქით, – ზაფხულის თვეები ზამთრისაკენ. ამის გამო შეიძლება ახალი წლის დღესასწაულმა შუა ზაფხულშიც კი ამოყოს თავი!

ასე რომ არ მოხდეს, მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ყოველ ოთხ წელიწადში დაგროვილი 4 X 6 ანუ 24 საათი (ერთი დღე-ღამე) დაემატოს ყველაზე მოკლე თვეს – თებერვალს. ასეთ წელიწადს, რომელშიც თებერვალი 29 დღე-ღამით შედის, სხვა წლებისაგან განსხვავებით, ასტრონომებმა გამონაკლისი ანუ ნაკიანი წელიწადი უწოდეს. მაშასადამე, ნაკიანი წელიწადი შეიცავს 366 დღე-ღამეს. გადაწყდა, რომ ნაკიან წლად ჩაითვალოს ყოველი წელიწადი, რომელთა რიგითი ნომერი უნაშთოდ იყოფა 4-ზე. ნაკიანი იყო 1988 წელი, როცა სალომე დაიბადა და – 1992 წელი, როცა სალომემ პირველად აღნიშნა თავისი დაბადების დღე. წლევანდელი 1996 წელიც ნაკიანია. დღეს ხომ 29 თებერვალია, სალომეს დაბადების დღე. შემდგომი ნაკიანი წელი იქნება მეოცე საუკუნის ბოლო წელიწადი, ანუ 2000 წელი. მაშინ სალომეს 12 წელი შეუსრულდება და კვლავ მოგიწვევთ დაბადების დღეზე.

ბოლოს შიო პაპამ სანდომიანად გაიღიმა და თქვა, აი ასეთი ორიგინალური დაბადების დღე აქვს ჩემს კუდრაჭა სალომესო.

ცნობისმოყვარე ბავშვები დიდი გულისყურით უსმენდნენ შიო პაპას. მისი ნაამბობიდან ბევრი სასარგებლო შეიტყვეს და კმაყოფილნი დაბრუნდნენ შინ.

ანზორ აბულაშვილი

ლადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბაბის მოსახელე
ასე ფიქრობს ბიჭი ლადო:
რა სჯობს ქვეყნად -
საქართველოს
მედ და შვილად დაიბადო.
თუ რამ კარგი ღმერთმა მოგცა,
შენსავ მამულს უწილადო,
იეო მისი მეციხოვნე,
შემლო მისთვის თავიც დადო...
დამაცადოს მისმა მტერმა,
ცოტა კიდევ გავიზარდო!

ორი ლექსი თეონა ლომაშვილს

ტაგუ მებურიშვილი

1.
რომ შეგავლე თვალი,
ვთქვი იმთავითვეო:
გავხარ დიდ ბებიას -
ბაბილინას, თეო.

შენებრ კარგი, უნდა
გითხრა სიმართლეო,
ქვეყნად ვინმე ჯერ არ
შემხვედრია, თეო.

თეო სილამაზით
სული განათლეო,
დედისა და მამის
თვალის სინათლეო.

2.
თეო ახლა აღარაა
მველებურად გალეული:
სუქ,
სუქ,
სუქ,
სუქ,
მოგვისუქდა -
თბილი რძით და გოლეულით.
ისე ცეკვავს, არ სჯირდება
არც გიტარა და არც ტაში,
თავს გვაუვარებს თავზე მეტად,
ალიკვალი დიდედასი.
დიდედა რომ მოსწრებოდა! -
შვილიშვილი ნატრობს ნატო
და რიგი გვაქვს: ჯერ რომელმა
და რამდენხანს ავიტატოთ.

ისევ მათემატიკურ კანონზომიერებებზე

წინა დავალებაში რიცხვები დალაგებული იყო რიტმულად - ისინი თანაბარზომიერად იზრდებოდნენ ან ორ-ორით (2, 4, 6... 1, 3, 5...) ან ოთხ-ოთხით (4, 8, 12...). მეოთხე შემთხვევაში (1, 3, 5, 8...) ალბათ აღმოაჩინეთ სხვა კანონზომიერება - მესამე რიცხვი წინა ორის ჯამი იყო, მეოთხე - მის წინა ორი რიცხვის, მეხუთეც - მის წინა ორი რიცხვისა. ამასთან ერთგან (2, 4, 6...) ლუწი რიცხვების ზრდადი მწკრივი იქმნებოდა, მეორეგან (1, 3, 5...) - კენტი რიცხვებისა. მესამეგან(4,8,12...) - ოთხის ჯერადი რიცხვებისა (ჯერადი არის მთელი რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა რაიმე რიცხვზე).

ახლა დააკვირდით 3-ზე გამრავლების ცხრილს.

3X1=3	3X4=12	3X7=21
3X2=6	3X5=15	3X8=24
3X3=9	3X6=18	3X9=27

მიაქციეთ ყურადღება: ნამრავლების (12, 15, 18 და ა. შ.) ციფრთა ჯამები (1+2=3, 1+5=6, 1+8=9 და ა.შ.) მეორდება რიტმულად, შემდეგი თანამიმდევრობით 3, 6, 9; 3, 6, 9; 3, 6, 9...

ახლა დაწერეთ 6-ზე და 9-ზე გამრავლების ცხრილი და დააკვირდით, რა კანონზომიერება ახასიათებს მათი ნამრავლების ციფრთა ჯამებს.

რომანოზ დანელია

წრე ადვილი დასახატია. დაადე სახატავ ფურცელს ჭიქა ან რაიმე სხვა მრგვალი საგანი, ფანქარი შემოავლე, და მიიღებ წრეს. უფრო რთულია უნაკლო ელიფსის დახატვა, მაგრამ არსებობს ერთი მარტივი ხერხი, რომელიც დაგეხმარებ - ბა ხაზვის წესების უცოდნელად დახატო ისეთი ელიფსი, როგორიც შენ გინდა.



სახატავ ფურცელზე დაამაგრე ორი ჭიკარტი. აიღე ათ სანტიმეტრამდე სიგრძის ძაფი, შეაერთე ორივე ბოლო, განასკვე და ჩამოაცვი ჭიკარტებს. ფანქრით დაქაჩე ძაფი და ჭიკარტებს შემოავლე. რაც უფრო მოკლე იქნება შენი ძაფი, მით უფრო პატარა ელიფსს დახატავ. რაც უფრო დააშორებ ერთმანეთს ჭიკარტებს, მით უფრო ვიწრო ელიფსი დაიხატება. რა მოხდება, თუ ჭიკარტებს ერთმანეთის გვერდით ჩაარჭობ? რატომ?

ნანა იოსელიანი

ენის გასატეხი

იმერი ხარაძე

კოტრიალ-კოტრიალით და
კაკუნითა და კანკალით
კარისკენ გაკოტრიალდა
კოკას კირკიტა კაკალი...

მედეა ბლიაძე

ბაბუმ ბუბას დაუბარა
საბოსტნე რომ დაებარა.
ბუბამ ბარა, ბარა, ბარა,
ბუდუ ბაბუ გაახარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააწებეთ
მუყაოზე,
გამოჭერით
და
ითამაშეთ!

მხატვარი
ვახტანგ კუცია

**დაადებეთ
სქელ ქაღალდზე,
გამოჭერით
და აადგეთ
მაკეტის
მიხედვით!**



ცირა ქიტიაშვილი

ცაცხვები

ვინ იცის, რა აკრიალებს,
რა აცახცახებს ცაცხვებს.
შიშობენ, ცა მოიქუფრა
სეტყვის ღრუბელი დაგვცხებს.
მზის ამოსვლაზეც კრთებიან
-ვაი თუ ძლიერ დაცხეს,
გვალვა ეწვიოს ქვეყანას,
ჩვენი ხსენება გაწყდეს!

ვინ იცის, რა არ აშინებს
გაჭაღარებულ ცაცხვებს.

რომან ჯავახიშვილი

ქართული კალენდარი

(იანვრიდან დეკემბრამდე)

აჰნისი, სურწყუნისი,
მირკანი, იგრიკა,
ზამთარს გაზაფხული
მიჰყვება ბილიკად.

ვარდობის, თიბათვე,
და ვლოცავ იმათ ძე,
ვინც მიწის ბარაქას
მკათათვეს მიართმევს.

თვე მარიამობის,
ენკენის, ღვინობის,
ლოცვის და ქორწილის,
ნათლობის, შშვიდობის.

ზეიმი გიორგობის,
მერე ქრისტეობის,
და დგება ძველად წამი
მგელს და ახალს შორის.

მხატვარი ანა მგალობლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო სიმღერა



ეს სიმღერა 11 წლის ლადო ასათიანმა დაწერა. ახლა ის 12 წლისაა. ლადო ცხოვრობს ესპანეთში, მადრიდში. მას არასოდეს უსწავლია მუსიკა. ამ სიმღერას სიტყვები არა აქვს. ბავშვებო, მოდით, ჩავატაროთ კონკურსი, მოიფიქრეთ სიტყვები ამ მელოდიისათვის და გამოგზავნეთ რედაქციაში. გამარჯვებულს ლადო ესპანეთიდან საჩუქარს გამოუგზავნის. მათთვის კი, ვინც მუსიკას არ სწავლობს და ნოტების კითხვა არ იცის, ვიწყებთ მუსიკის გაკვეთილებს. ეს და მომდევნო გაკვეთილები დაგეხმარებათ ლადოს მელოდიის გარჩევაში.

მუსიკის გაკვეთილი

დახედეთ პიანინოს ან როიალის კლავიატურას. კლავიატურა გავსებულია თეთრი და შავი კლავიშებით. ყოველი კლავიში გარკვეულ ბგერას გამოსცემს. მარცხნიდან პირველი ბგერა ყველაზე ბოხი, ანუ დაბალია. რაც უფრო მარჯვნივ მივდივართ, ბგერების ჟღერადობა თანდათან მაღლდება. დაადე თითი ნებისმიერ თეთრ კლავიშს, მოუსმინე, გადაითვალე ყოველი მერვე, ისევ მოუსმინე, და ნახავ, რომ ეს ბგერები ჟღერადობით ერთმანეთს გვანან, მაგრამ სიმაღლით განსხვავდებიან. მანძილს ამ ერთნაირ ბგერებს შორის ოქტავა ეწოდება. კლავიატურაზე შვიდნახევარი ოქტავაა. მარცხნიდან პირველი ოქტავა არასრულია, ხოლო ყველა დანარჩენში 7 ნოტია. ყოველი მერვე ნოტი ახალი ოქტავის დასაწყისია. ამ ნახატზე ნაჩვენებია, თუ როგორ იყოფა კლავიატურა ოქტავებად და მოცემულია ამ ოქტავების სახელები.

რა არის ნოტები?



ნოტები არის ასოების მსგავსი ნიშნები, რომელთა საშუალებითაც იწერება მუსიკალური ბგერები. ნოტები იწერება ხუთ პარალელურ ხაზზე და ამ ხაზებს შორის, ხოლო ის ნოტები, რომლებიც ამ ხუთ ხაზზე არ ეტევა, დამატებით ხაზებზე თავსდებიან. მუსიკაში შვიდი ნოტია და ყველას თავისი სახელი აქვს: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი. დასაწყისისთვის, ზემოთ, ნახატზე, გიჩვენეთ, თუ როგორ იწერება პირველი და მეორე ოქტავის ნოტები.

ვინ არის მოცარტი?

მე-18 საუკუნის კომპოზიტორი, ვოლფგანგ ამადეი მოცარტი ოთხი წლისაც არ იყო, რომ კლავესინზე დაკვრა ისწავლა და პატარა პიესების შეთხზვა დაიწყო. (კლავესინი დღევანდელი პიანინოსა და როიალის წინამორბედი საკრავია). მოცარტი იმდენად პატარა იყო, რომ წერა არ იცოდა და მამას სთხოვდა, სანოტო ფურცლებზე ჩაეწერა მისი ნაწარმოებები. სულ მალე კი ესეც შეძლო. ერთხელ მამამ ნახა, რომ მოცარტი მელნის ლაქებით დათხვრილ ფურცელზე რაღაცას წერდა; ჯერ გაეცინა ბატიფეხური ნაწერის დანახვაზე, მაგრამ როცა დააკვირდა, მიხვდა, რომ ეს იყო ყველა წესის დაცვით დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები. ასე შექმნა მოცარტმა თავისი პირველი კონცერტი კლავესინისათვის.

6 წლის მოცარტს პატარა ვიოლინო აჩუქეს. რამდენიმე დღეში მან მოინდომა მამასთან და მის მეგობარ მუსიკოსებთან ერთად ვიოლინოზე დაკვრა. მამამ დატუქსა ბიჭუნა, რომლისთვისაც ვიოლინოზე დაკვრა ჯერ არავის ესწავლებია, და ოთახიდან გაისტუმრა, რათა უფროსებისთვის ხელი არ შეეშალა. მოცარტი ისე საცოდავად ატირდა, რომ მამას შეეცოდა და ნება დართო მათთან ერთად დაეკრა, ოღონდ ისე ჩუმად, რომ ხელი არავის შეშლოდა. ბიჭუნამ დაკვრა დაიწყო. ერთ-ერთმა მევიოლინემ, რომელსაც მოცარტი აყვა, დაკვრა შეწყვიტა, რადგან მიხვდა, რომ ზედმეტი იყო. მამას გაოცებისა და სიხარულისგან თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა. მოცარტმა მალე სახელი გაითქვა, როგორც ვირტუოზმა შემსრულებელმა და კომპოზიტორმა და 7 წლისამ მამასთან ერთად მთელი ევროპა შემოიარა გასტროლებით. ამ დროისთვის მას უკვე ორი სიმფონია ჰქონდა დაწერილი. (სიმფონია არის მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისათვის). 14 წლის მოცარტმა. თავისი პირველი ოპერა დადგა იტალიაში, რის მერეც იგი ქალაქ ბოლონიის მუსიკალური აკადემიის წევრად აირჩიეს, რაც მხოლოდ უდიდესი მუსიკოსების ხვედრი იყო.

სულ 35 წელი იცოცხლა ვოლფგანგ ამადეი მოცარტმა, მაგრამ 600 ნაწარმოები დაგვიტოვა. ბავშვებო, ისწავლეთ მუსიკა, ვინ იცის, იქნებ თქვენს შორისაც აღმოჩნდეს "პატარა მოცარტი"!

მუსიკის გაკვეთილი მიჰყავს მარინე ქარცივაძეს.

მხატვარი ნანა იოსელიანი

გიორგი ქუჩიშვილი

ბავშვებს

მოგესალმებით,
ბავშვებო,
ჩემო ღაბუა ჩიტებო,
ევავილნო გაზაფხულისა,
მვირფასო მარგალიტებო!
იჟრიამულეთ,
იხარეთ
გულითა მხიარულითა.
დალაღდით დედის ალერსით
და მამის სიყვარულითა.

ვანო ჩხიკვაძე

მალე, სულ მალე...

შენც გაიზრდები, მხიარულო
პატარა ბარტეო,
ფრთებს დაატოლებ ცას და მერე
დაგტოვებ მარტო.

„ჩე-მი სამ-შობ-ლო,
სა-ქარ-თვე-ლო!“ -
დამარცვლავ თითით,
და მხრები შენი
დამძიმდება
ვეება ტვირთით!

მხატვარი გია ლაფაური

რედაქცია დაბადების დღესა და დამდეგ ახალ წელს ულოცავს:

ციალა გენელიძეს, ქეთინო და ანანო სიჭინავეებს, ლუკა კაპანაძეს, ლევან ბაბუხადიას, სალომე გოგელიას, მარიამ ხუჭუას, თათია და სოფიკო ჯანანაშვილებს, თიკა ყველაშვილს, გვანცა ტუჩაშვილს, თათია ლომაძეს, გიორგი ვახტანგიშვილს, გივიკო ძაძამიას, თათია ჯოხიძეს, მერი სიბაშვილს, თეონა და დათო სხირტლაძეებს, თიკო ჯაყელს, გივიკო ჩხარტიშვილს, გურამ აბრამიშვილსა და ალექსანდრე (ბაჩი) ადვაძეს.

მშობლების საყურადღებოდ: თუ გსურთ თქვენს პატარას მიულოცოთ დაბადების დღე, დაგვიკავშირდით ორი თვით ადრე. ტელეფონი: 93 10 32

ლომი ცხოველთა მეფე

ლუარა გორდიევიჩი

არის თუ არა ლომი „ცხოველთა მეფე?“ ზოგიერთების აზრით ყველაზე გაბატონებული და ძლიერი ცხოველი აფრიკისა არის სპილო, შემდეგ მარტორქა, ბეჰემოთი და კამეჩი.

და მაინც მეფე ცხოველთა სამყაროსი ლომია, პატარებიც ხომ ასე იცნობენ მას ზღაპრებიდან თუ მულტიპლიკაციური ფილმებიდან. ბევრს ცოცხალი ლომიც უნახავს ზოოპარკში ან ცირკში, და აღტაცებულია მისი არაჩვეულებრივი აგებულებითა და ამაყი მიხვრა-მოხვრით.

დღეისათვის ლომები ბინადრობენ აფრიკაში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ლომს ბევრი ისეთი ღირსეული თვისება აქვს, რომელიც ადამიანებთან აახლოებს მას. ის ერთგული მეუღლეა, მოსიყვარულე, ნაზი მამა, და არასდროს ტოვებს შვილებს განსაცდელში. ასევეა დედა ლომიც. ისიც თავგამოდებით იცავს შვილებს. ახალშობილი ლეკვი კატისხელაა, მეორე თვეში სიარულს და თამაშს იწყებს, ნახევარი წლის შემდეგ დედა თავს ანებებს ლეკვების გამოკვებას და სანადირო მიჰყავს ისინი, ნადირობას აჩვევს. ამ დროისათვის ლომის ლეკვი სიდიდით ძაღლს უტოლდება. ლეკვის ხმა თავიდან კატის კნავილს გავს და თანდათანობით ძლიერდება. ხვად ლომს მესამე წელს ფაფარი ეზრდება, მეექვსე წელს კი იგი სრულყოფილებას აღწევს; ხმა ისეთი ძლიერი და მქუხარე უხდება, რომ შიშის ზარს სცემს როგორც ადამიანებს, ისე ცხოველებს: ჩუმდება გიენა, მიყუჩდება მძვინვარე ლეოპარდი, მაიმუნები შიშისაგან ყველაზე მაღალ ხეებზე მიძვრებიან, ანტილოპები შეშფოთებულები გარბიან, ღელავს ყველაზე ფლეგმატური აქლემი, ყალყზე დგება ცხენი, ძაღლი პატრონს უვარდება ფეხებში. ეს ხმა გამოხატავს უსაზღვრო ძალასა და ძლიერებას. ლომი მზად არის ყველასთან ჩაებას ბრძოლაში, მხოლოდ ადამიანისა ეშინია, მხოლოდ მის წინაშე ეპარება ეჭვი თავის ძლიერებაში. ალბათ ეს არის მიზეზი, რომ არცთუ იშვიათად ლომს უიარაღო ადამიანის წინაშეც კი დაუხევია უკან.

ცხოველთა სამყაროში ლომს კატისმაგვართა ოჯახს მიაკუთვნებენ, მაგრამ იგი მათგან განსხვავდება თავისი განუმეორებელი, დიდებული აგებულებით. განსაკუთრებით უზარმაზარი თავი და გრძელი, უხვი ფაფარი აძლევს მას ამაყსა და მე-

ფურ იერს. ტანი ამ ძლიერ მხეცს მკვრივი აქვს, ბეწვი სხვადასხვა ფერისა; გრძელი კუდის ბოლო ფუნჯს წააგავს. მოზრდილი ლომის სიგრძე უკუდოდ ორ მეტრს აღწევს, კუდი 75-90 სმ-ია, კეფასთან ლომის სიმაღლეა 80-100 სმ.

ლომები ცხოვრობენ ან მარტო, ან ოჯახებით, აქვთ თავისი განსაზღვრული ადგილი, რომლის ცენტრში ცხოველთა მეფის „რეზიდენციაა“, მისი ბუნაგი.

დღისით ლომი ან ბუნაგში ისვენებს, ან ულრან ტყეში დაეხეტება, ან სადმე ამაღლებულ ადგილას მშვიდად გაშოტილი მიდამოს ათვალიერებს, თითქოს ღამეული ნადირობის გეგმებს აწყობს. ამ დროს ცხოველთა მეფე შედარებით უსაფრთხოა. ისეც კი ხდება, რომ ადამიანები და ცხოველები მის თვალწინ მიდი-მოდიან.

სხვა საქმეა ღამით: გრგვინვასავით ისმის ლომის ღრიალი.

კეთილშობილი ლომი განსხვავდება სისხლისმსმელი ვეფხვისა და ლეოპარდისაგან. ლომის ოჯახში მკაცრად არის დაცული უფროს-უმცროსობის წესები. პირველი ტრაპეზობს, ანუ ნადავლს მიირთმევს ოჯახის უფროსი - ხვადი ლომი, შემდეგ სადილობენ ძუ ლომები, და, ბოლოს, ახალგაზრდები.

პატარებზე ეს წესი არ ვრცელდება.

ლომი ჭკვიანი, აზრიანი, გამგები ცხოველია. ახსოვს ადამიანისაგან მის მიმართ გამოჩენილი სიკეთე. ხანდახან იბრალებს სუსტებს, იშვიათად ერჩის ბავშვებს. ლომის მოთვინიერება, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ასაკში, არ არის ძნელი. ის იმდენად ეჩვევა ადამიანს, რომ ძაღლივით დასდევს უკან. ეჩვევა შინაურ ცხოველებსაც; მაგრამ ბოლომდე ყურადღების მოდუნება არ შეიძლება. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ლომში ველურ ბუნებას გაუღვიძნია და მომთვინიერებლის სიცოცხლე შეუწირავს.

ძალა და სიმამაცე, სიდინჯე, სიმშვიდე, სიამაყე, გონიერება ალღოიანობა, სულგრძელობა და მრავალი სხვა ღირსება, დიდებულ გარეგნობასთან ერთად, ლომს ანიჭებს უფლებას, იყოს ერთადერთი და განუმეორებელი „ხელმწიფე“ ცხოველთა სამყაროსი.

მხატვარი **გიორგი ჩაჩანიძე**

ვინ გაიტანს ლელოს?

ლელობურთი ძველებური ქართული თამაშია. მოთამაშეები ცდილობენ, ბურთი ერთმანეთს ხელიდან გამოსტაცონ, მოედნის ბოლოს, დათქმულ ადგილთან-ლელოსთან მიირბინონ და ბურთი გაიტანონ. წესით მოთამაშეთა ორი ჯგუფი ეჯიბრება ერთმანეთს. ამ ნახატზე კი სხვანაირად არის. ხუთი მეგობარი ცდილობდა ლელოს გატანას, ლელოც აქ იყო, ორი ფეხის ნაბიჯზე; მაგრამ ბურთი ტყეში შეუგორდათ და ზოგი ბურთს მიჰყვა; კურდღელი და ბიჭუნა თვალით ეძებენ ბურთს, მაგრამ არც ბურთი ჩანს, არც მოთამაშეები. იქნებ მიაგნოთ, ვინ სად არის და სად ეძებს ბურთს, ვინ უფრო ახლოა ბურთთან და ვინ მოახერხებს ლელოს გატანას!

მიაგენით? ყოჩაღ!

ახლა კი გამარჯვებულის სახელი მიაწერეთ სათაურს – „ვინ გაიტანს ლელოს!“

ილუსტრაციები გიორგი გუგეშაშვილი

ჩვენი საჩუქარი

„დილის“ ერთ-ერთ ნომერში მკითხველებს შევთავაზეთ საჩუქრის მისაღები კითხვები.

როდის დაარსდა „დილა“! რა ერქვა მას თავდაპირველად, რა დაერქვა შემდეგ! როდის ეწოდა „დილა“ და ვისი მეცადინეობით!

ყველაზე სრულყოფილი პასუხი ამ კითხვაზე გამოგვიგზავნა თბილისის 51-ე საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლემ **ნათია გაბელაიამ**:

„1904 წელს დაარსდა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, რომელსაც შემდეგ, 1928 წელს, „ოქტომბრელი“ დაერქვა. 1947 წელს ჟურნალის რედაქტორის, ბატონ რევაზ მარგიანის მეცადინეობით ჟურნალს კვლავ შეუცვალეს სახელი და „დილა“ უწოდეს“.

ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ რაკი ადრე „დილის“ არსებობას 1928 წლიდან ითვლიდნენ, ბევრს შესაძლოა არ სცოდნოდა, „ნაკადული“ რომ არის ჩვენი „დილის“ უშუალო წინამორბედი. ამიტომ გადავწყვიტეთ დაპირებული საჩუქარი ნათია გაბელაიას გარდა მივცეთ თბილისის I საშუალო სკოლის მეოთხეკლასელს **ნათია დუნდუასაც**, რომელმაც, მართალია, „დილის“ დაარსების თარიღად 1928 წელი დაასახელა, მაგრამ სხვა კითხვებზე მოკლე და სხარტი პასუხი გაგვცა და თან ყველაზე ადრე გამოგვეხმაურა.

ასე რომ, **ნათია გაბელაია** და **ნათია დუნდუა** საჩუქრად მიიღებენ ჟურნალ „დილის“ მთელი წლის ნომრებს.

საჩუქრის მისაღები კითხვა

ვინ იყო ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფე და პირველი ქართული სამეფო დინასტიის დამაარსებელი!

როდის მეფობდა ის!

მის სახელთან დაკავშირებულია ერთი უდიდესი ეროვნული საქმე. რა საქმე! არსებობს ორი ულამაზესი ლეგენდა ამ მეფის შესახებ.

ვინც ყველაზე საინტერესოდ და ამომწურავად გვიამბობს ამ მეფეზე, მიიღებს „დილის“ სამახსოვრო საჩუქარს - ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი მხატვრის მიერ შესრულებულ პორტრეტს ამ მეფისას.

გვინდა შეგახსენოთ, რომ წინა ნომრებში გთავაზობდით 3-5 სიტყვით თქვენც შეგევსოთ ჩვენი მცირე ლექსიკონი; გარდა ამისა, ზოგი ამ სიტყვის გამოყენებით შეგედგინათ პაწია მოთხრობა ან ჩანახატი (სერიოზული თუ სახუმარო-სახალისო) და გამოგეგზავნათ. ჩვენის მხრივ გპირდებოდით, რომ ჟურნალის ამ წლის ბოლო ნომერში გამოვაქვეყნებდით სულ ამ-სო თხზულებას. ახლა გადავწყვიტეთ, პირობა ოდნავი დაგვიანებით შეგისრულოთ. დეკემბრის ბოლოს ჩვენ გადავხედავთ თქვენს ნაწერებს და საუკეთესოს, ავტორის სურათთან ერთად, შემდგომ ნომერში დავბეჭდავთ.

ლექსიკონი

დ

დაბა - ყველამ კარგად იცით, რომ დაბა ქალაქის მსგავსი პატარა დასახლებული ადგილია, მაგრამ დააკვირდით ამ სიტყვისაგან წაამოებულ სხვა სიტყვებს და გაანალიზეთ, რას ნიშნავს უდაბნო ან უდაბური, და რატომ ჰქვია მათ ეს სახელები.

დაბალითება არის მოცდენა, დაბრკოლება, მაგრამ კეთილ საქმეზე შეფერხება კი არა, ამაო, ფუჭ, უნაყოფო საქმეზე მოცდენა. სულხან-საბა ორბელიანის თქმით, „დაბალითება“ - კეთილ, ხოლო დაბრკოლება -არა კეთილ“.

დამანი - ლითონის პატარა ჭურჭელი, „ილეკროს შუშა“ (ილეკრო ძველქართულად ეწოდებოდა ლითონს - ოქროს, ვერცხლს, რკინას და სხვა ამგვარებს, შუშა კი პატარა ჭურჭელს ერქვა, მაგალითად, წამლის ჭურჭელს, ახლა რომ ფლაკონს ვეძახით).

დაჟარვა - ხელის ყინვით დაზრობა.

დასტანაგები - სამაჯური, „ქალთ სამკლავე“.

დატიტული - უზომოდ დამარილებული, ზედმეტად მლაშე, მწუთხე.

დაფალვა - დაგვას, დახვეტას რაჭაში ახლაც დაფალვას უწოდებენ.

დედაწული - მთელი ოჯახი, ჯალაბი.

დელგმა - „წვიმა დიდი და გვიან მომდარბელი“, კოკისპირული წვიმა, თავსხმა. არის სხვაგვარი წვიმებიც. აბა, თქვენ თვითონ ნახეთ, რა არის თქორი, ჟინჟღლი, ჟღმურტლი, თქეში; რას ეძახიან ჟუჟუნა წვიმას, ისხარს, შხაპუნას, ღლოფოს, ქარიშხალს, ან რას ეწოდება ლეშხი და ჟვავი. რას ნიშნავს „მზე პირს იბანს“?

დიხაშხო - დაგვალულ-დახეთქილი, უნაყოფო, მწირი მიწა.

ე

ებანი - ძველებური მუსიკალური საკრავი.

ეჟვანი - ბურთულისებური ლითონის საჟღარუნებელი. ხმას გამოსცემს შიგ მოთავსებული ლითონისავე ბურთულაკების მოძრაობისაგან. ეჟვანს კისერზე აბამდნენ ხოლმე შინაურ ცხოველებს ან ცხენებს.

ერობა - ძველად სოფელში ასე ეძახდნენ სახალხო გართობა-დღესასწაულებს, დღეობებს. ერობა ერქვა საქართველოს მთიანეთში ხალხის კრებას, სათემო თავშეყრილობასაც.

ესვა - იმედნეულობა (ესავს - იმედი აქვს).

ეტლი - გარდა ცხენებშებმული ოთხთვალასი, ეტლი ძველად ერქვა ცოომილ ვარსკვლავს (პლანეტას); კიდევ ეტლს იტყოდნენ ბედისწერაზე. ჭადრაკში ეტლი ერთ-ერთ ფიგურას ჰქვია.

ეტრატი - საგანგებოდ დამუშავებული ტყავი, რომელსაც ძველად საწერ მასალად ხმარობდნენ. ტყავის ქაღალდი.

ეშმა - ბოროტი სული, ეშმაკი, სატანა.

ეშმაკი - სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. თვითონ იფიქრეთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას გამოთქმებში „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ“; „დიდი ეშმაკის ფეხია“; „ეშმაკმა იცის იმის თავი და ტანი“; „ეშმაკსაც წაუღია“; „რა ეშმაკად უნდა!“; „სად ეშმაკებშია!“; „რა ეშმაკი შეუჯდა“.

ეჩო - ხის სათლელი იარაღია, რომელიც ნაფოტებს მთლელისაკენ ისვრის. ალბათ ამიტომ თავკერძ, მარტო თავის თავზე მოფიქრალ ადამიანს ეჩო კაცს ეძახიან. არსებობს ანდაზა: „კაცი განა ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს“.

ეწერი - მწირი, უნაყოფო, მცირემოსავლიანი მიწა.

ეჯი - მანძილის საზომი ერთეული. „სამი მილი ერთი ეჯი არს“. დაახლოებით 4-5 კილომეტრი.

ეჯიბი - ერთ-ერთი დიდი მოხელე ქართველ მეფეთა და დიდებულთა სასახლეში. ქორწილში მეფის მეჯვარე იყო.

ვ

ვაკისი - მიწაყრილი, ამაღლებული ადგილი, რომელზეც გარდიგარდმო დაწყობილია რკინიგზის შპალები -რელსების საყრდენი ძელები - ხის, ლითონის ან რკინაბეტონისა.

ვარაყი - ოქროს ან ვერცხლის თხელი ფენა, რომლითაც ამკობდნენ ნივთებს; ან წიგნის ყდის თუ წარწერის ოქროსფერი შემკულობა. ეს სიტყვა „სხვათა ენაა“ და მისი ქართული შესატყვისია ქანდა; გავიხსენოთ გულქანდა - მოვარაყებული ლითონის ყელსაკიდი.

ვარცლი - პატარა ბრტყელძირიანი ნავი, და კიდევ, - ცომის მოსაზელი ხის ჭურჭელი ნავის ფორმისა.

ვარჯი - ხის განშტოებული ნაწილი - „ხეთ შვენიერი რტონი“.

ვატატყი - ასე ეძახიან ლეჩხუმში ენაჭარტალა და უსაქმურ დედაკაცს.

ვასახაი - გურიაში მცონარა, მუქთამჭამელ ადამიანზე იტყვიან.

ველობი - მინდორი ტყეში.

ვეძა - მჟავე ან მლაშე წყალი. ასეთი წყლებით იყო ცნობილი წინათ თბილისის ერთ-ერთი ახალი უბანი, ვეძისი. ვეძაკაცი - იტყვიან ქართლში ავყია, ავსიტყვა ადამიანზე.

გააკეთეთ თქვენი ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი თანატოლის, ლაშა ხენჩუკაშვილის ნახელავი „პეპი“ ალბათ მოგეწონებათ. შეეცადეთ თქვენც გააკეთოთ ასეთი თოჯინა მოცემული დეტალების მიხედვით.

ნარინჯისფერი ან ვარდისფერი ნაჭრისაგან გამოჭერით პეპის თავი და ტანი (ორ-ორი ცალი), ასევე ორ-ორი ფეხი და ხელი. შეკერეთ, დატოვეთ პატარა გაუკერავი ადგილი და შეავსეთ მაუდის ნაკუწებით ან სხვა ნარჩენებით. თმა დაწანით ბამბის საქსოვი ძაფით (თმაზე უნდა გააყოლოთ მავთული, რომლითაც კიკინებს ფორმას მისცემთ). თვალები ამოჭერით ცისფერი ფარჩის ნაჭრისაგან, გუგები შავი ლაკის დერმატინისაგან, და დაამაგრეთ პირისახეზე დეკორატიული თეთრთავიანი ქინძისთავით. ჭორფლები ამოქარგეთ წითელი ძაფით. ტუჩების ადგილას ჩააკერეთ წითელი პლასტმასის ღილი. კაბა შეკერეთ ჩითის კოპლებიანი ნაჭრით, წინდები - ზოლებიანი ნაჭრით, ფეხსაცმელი - ფერადი დერმატინით; ამოაკერეთ დერმატინისავე ლანჩები, დატოვეთ ადგილი ღრუბლის ჩასატენად. ამოქარგეთ ხელით და დააკერეთ პლასტმასის ღილები. კიკინებზე შესაფერისი ბალთები გაუკეთეთ.



მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 41 30, 93 10 32

გამოდის 1904 წლიდან

ყდაზე ნახატი გია ლაფაურისა

დაბეჭდილია ბულგარეთში გამომცემლობა «შერის» მიერ.

ფასი სახელშეკრულებო

გამოიწერეთ ჟურნალი „დილა"

„დილის" გამოწერა შეგიძლიათ ნებისმიერ საფოსტო განყოფილებაში. ჩვენი ჟურნალი გამოდის ორ თვეში ერთხელ. ფასი 2 ლარი, 6 თვით - 6 ლარი. ჟურნალის დაგვიანების ან დაკარგვის შემთხვევაში მიმართეთ თქვენს მომსახურე საფოსტო განყოფილებას, უკიდურეს შემთხვევაში მოსწერეთ რედაქციას.

ჟურნალისტიკა - მოგება

„დილის" ამ ნომერში თამაშდება საიდუმლო ლატარია, რომელიც გამჟღავნდება მთლიანი ტირაჟის რეალიზაციის შემდეგ. ოცდაათი მოგებიანი ეგზემპლარის იღბლიანი მფლობელები მიიღებენ საახალწლო საჩუქრებს: 10 საჩუქარს გასცემს მაღაზია „ბარბი", ხოლო ოცს - „კოკა-კოლა"!

რეკლამა

ჩვენო პატარა მეგობრებო! ურჩიეთ თქვენს მამებს, ბიძებსა და ბაბუებს თავიანთი ფირმის, საწარმოს თუ ნაწარმის რეკლამა განათავსონ ჩვენს ჟურნალში. დაარწმუნეთ ისინი, რომ «დილის» რეკლამა ხელსაყრელი იქნება სამივე მხარისათვის - მათთვის, თქვენთვის და ჩვენთვის.

ძვირფასო ბავშვებო!

გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს!

თქვენი „კოკა-კოლა"

ინდექსი: 76055